ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #128

7 ივნისი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში

საშვთა სისტემის შემოღების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სამუშაო გარემოსა და საჯარო მოსამსახურეთა სამუშაო პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შემობაში შემოღებული იქნას საშვთა სისტემა და უცხო პირთა გადაადგილება განხორციელდეს საშვთა საშუალებით.
2. ამ ბრძანების 1-ლ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ადმინისტრაციულ შენობაში მოსამსახურე პირებზე, ასევე ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებზე.
3. ბრძანების ორგანიზაციული მხარის (საშვთა დაბეჭდვა–დამზადება, გაცემა, რეგისტრაცია და სხვა) უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა და გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს მერაბ ხუნდაძეს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*